


შპს „ზუმარი.კომ“

მოცვის მეურნეობის სარწყავი სისტემის
(ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლაითური)

სკრინინგის განაცხადი


შემსრულებელი: შპს „სამნი+“

დირექტორი თ. კეპულაძე
მობ.: 5 91 15 72 72



შპს „ზუმარი.კომ“

დირექტორი: დავით გაბეჩავა
ტელ.: 5 99 45 45 46



ოზურგეთი 2024

შინაარსი

1. შესავალი.....	3
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.....	4
3. მუშაობის რეჟიმი	15
4. საქმიანობის აღწერა.....	15
4.1. ლურჯი მოცვის დარგვისა და მოვლის წესები	15
4.2. კომპანიის მიმდინარე საქმიანობის აღწერა.....	16
4.3. წყალაღება და სარწყავი სისტემა.....	21
5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში	25
5.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	25
5.2. ხმაურის ზემოქმედება	25
5.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე	26
5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე	27
5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები	27
5.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	28
5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე..	28
5.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	28
5.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	29
5.10. ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება	29
5.11. კუმულაციური ზემოქმედება	29
5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	30
6. საქმიანობის ადგილის თავსებადობა	30
დანართები	32
დანართი 1. საჯარო რეესტრის ამონაწერები	33
დანართი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წერილი	35

1. შესავალი

შპს „ზუმარი.კომ“-ს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლაითურის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N26.25.13.105) გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის პლანტაცია. მოცვის ნარგავების გაშენება მიმდინარეობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, „დანერგე მომავალი“ პროგრამის ფარგლებში.

სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად, მოწყობილია წვეთოვანი სისტემა. მოცვის ნარგავების მოსარწყავად წყლის აღება დაგეგმილია მდ. ლელადან.

რადგან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3. პუნქტით გათალისწინებულ საქმიანობას და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელების შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ზუმარი.კომ“
საიდენტიფიკაციო კოდი	406450479
კომპანიის იურიდიული მისამართი	თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, კორპუსი 2, ბინა 45
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაითური
საქმიანობის სახე	აგროპროდუქტების მოყვანა-რეალიზაცია
დირექტორი	დავით გაბეჩავა
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 45 45 46
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი +“
ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეკულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	ოზურგეთი. სოფ. ლაითური
წყალაღების ობიექტი	მდ. ლელა
მოცვის პლანტაციის განთავსების ადგილი	სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები საკ. კოდი N26.25.13.105
საპროექტო წყალაღება (მაქსიმალური)	10 მ ³ /სთ
რწყვის მეთოდი	წვეთოვანი სისტემა


2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

შპს „ზუმარი.კომ“-ს მოცვის პლანტაცია განთავსებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლაითურის ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი N26.25.13.105 - ფართობი 30000 მ².

ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია მოცემულია ნახაზზე 2.1. ხოლო GPS კოორდინატები ცხრილში 2.1.

ცხრილი 2.1.

N	x	y		N	x	y
1	244518	4643695		21	244310	4643668
2	244452	4643724		22	244316	4643676
3	244343	4643725		23	244330	4643678
4	244316	4643729		24	244349	4643701
5	244283	4643739		25	244357	4643707
6	244260	4643740		26	244369	4643710
7	244236	4643726		27	244384	4643700
8	244233	4643713		28	244369	4643685
9	244235	4643699		29	244344	4643649
10	244263	4643665		30	244334	4643627
11	244271	4643663		31	244335	4643576
12	244284	4643656		32	244359	4643569
13	244274	4643572		33	244421	4643568
14	244272	4643556		34	244459	4643660
15	244322	4643548		35	244467	4643658
16	244324	4643560		36	244444	4643595
17	244324	4643567		37	244447	4643576
18	244310	4643571		38	244469	4643613
19	244314	4643610		39	244489	4643659
20	244310	4643642				



ნახაზი 2.1.ნაკვეთის წვეროთა ნუმერაცია

კომპანიის მიწის ნაკვეთი მდებარეობს დაბა ლაითურის ტერიტორიაზე, დაბის სამხრეთ მხარეს, დასახლებული პუნქტიდან 440 მ-ის დაშორებით.

განსახილველ მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელი გრუნტის გზა შემოდის დაბა ლაითურის ცენტრიდან, ქიშვარდი გოგიბერიძის ქუჩიდან, რომელიც მიწის ნაკვეთიდან დაშორებულია 540 მ-ით. ნაკვეთს ყველა მხრიდან ესაზღვრება თავისუფალი (დაურეგისტრირებელი) ტერიტორიები, რომელიც დაფარულია ერთ და მრავალწლიანი ბუჩქნარით და ხე მცენარეებით (სურათი 2.1. და 2.2.). მერქნიანი მცენარეებიდან ძირითადად გავრცელებულია კრიპტომერიის და თხმელის ჯიშის ხეები.

პლანტაციის ირგვლივ მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც გაშენებულია თხილის პლანტაციები, სხვადასხვა ჯიშის ხეხილი. მოსახლეობას მოჰყავს ერთწლიანი კულტურები (ძირითადად სიმინდი). ბოლო წლებში დაიწყო მოცვის პლანტაციების გაშენება. თავისუფალი ტერიტორიები გამოიყენება სოფლის სამოვრებად.



სურათი 2.1.



სურათი 2.2.

ჩრდილოეთით ტერიტორიიდან 480 მ-ის დაშორებით მდებარეობს დაბა ლაითურის საჯარო სკოლა.

მიწის ნაკვეთებიდან უახლოესი წყლის ობიექტია მდ. ლელა (სურათი 2.3.), რომელიც ჩამოედინება ტერიტორიის ჩრდილოეთით, ნაკვეთიდან დაშორებულია 78 მ-ით. სამხრეთ მხარეს ტერიტორიიდან 150 მ-ის დაშორებით ჩამოედინება მდ. ჩოლოქი.



სურათი 2.3.

უშუალოდ ნაკვეთის საზღვრებში შემოჭრილია მცირე ზომის ღელეები (ხევები) (სურათი 2.4.), რომლებსაც ასრულებს ტერიტორიის დამშრობის ფუნქციას და უერთდება მდ. ჩოლოქს (დატანილია ნახაზზე 2.2.).



სურათი 2.4.

ტერიტორიის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით განთავსებულია საერთო სარგებლობის გრუნტის გზები, რომელსაც ადგილობრივები იყენებენ მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელად (სურათები 2.5. და 2.6.).



სურათი 2.5.



სურათი 2.6.

განსახილველი ტერიტორია, მთელ პერიმეტრზე შემოღობილია მავთულით. ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე უკვე გაშენებულია მოცვის ნარგავები. ნაწილზე მიმდინარეობს კვლების მომზადება და ნერგების დარგვა (სურათი 2.7. და 2.8.).



სურათი 2.7.



სურათი 2.8.


ტერიტორიის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზებზე 2.2. და 2.3.

მიწის ნაკვეთის 500 მ-იან რადიუსში განთავსებულია: თავისუფალი ტერიტორიები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მდინარე ლელა და მდ. ჩოლოქი. ჩრდილოეთით 400 მ-ზე მეტი მანძილით, საცხოვრებელი სახლი და საჯარო სკოლა. 500 მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტები მოცემულია ნახაზზე 2.4.


ნახაზი 2.2. სიტუაციური გეგმა



ნახაზი 2.3. მიწათსარგებლობა



ნახაზი 2.4. 500 მეტრიან ზონაში არსებული ობიექტები



ობიექტის სარწყავი წყლით მომარაგება გათვალისწინებულია მდ. ლელადან (სურათები 2.9. და 2.10.), რომელიც სათავეს იღებს სოფ. ნარუჯას ტერიტორიაზე (შემდეგ GPS კოორდინატზე x-40985, 4641809), რამდენიმე უსახელო დელის შერწყმით, ზღვის დონიდან 116 მ-ზე, წარმოადგენს სოფლების ნარუჯას და ლაითურის ტერიტორიაზე არსებული უსახელო დელების და წყაროს წყლების წყალშემკრებს. იკვებება მიწისქვეშა და ატმოსფერული ნალექების წყლებით. მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი 7,4 კმ²-ია. სიგრძე 9,8 კმ. უერთდება მდინარე ჩოლოქს სოფ, ცეცხლაურთან შემდეგ GPS კოორდინატზე x-40985, 4641809. მდინარე ხასიათდება გაზაფხულის და შემოდგომის წყალდიდობით და ზამთრისა და ზაფხულის წყალმეჩხრობით.

მდინარის კალაპოტის საშუალო სიგანე 7-8 მ-ია, საშუალო სიჩქარე 0,7 მ/წმ. საშუალო სიღრმე 0,3 მ. საშუალო ხარჯი 1,5 მ³/წმ.




სურათი 2.9.



სურათი 2.10.

მდ. ლელას კალაპოტი მოცემულია ნახაზზე 2.5.

ნახაზი 2.5 მდინარე ლელა



3. მუშაობის რეჟიმი

შპს “ზუმარი.კომ“-ის მოცვის პლანტაციის მუშაობის რეჟიმი სეზონურია. ნარგავების მოვლა იწყება გაზაფხულიდან და მიმდინარეობს ოქტომბრის ბოლომდე. სამუშაოები ხორციელდება დღის საათებში, დღეში 6-8 -საათი.

პლანტაციის მოვლა-პატრონობისათვის საჭიროა მუდმივი და დროებითი მუშახელი. მუდმივი თანამშრომლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 3 კაცს, წლის განმავლობაში უზრუნველყოფენ პლანტაციების მეთვალყურეობას და საჭირო აგრო სამუშაოების დაგეგმვას, რომელიც პერიოდულად სრულდება დროებით დაქირავებული თანამშრომლების მიერ.

ძირითადი მუშახელი საჭიროა მოცვის ნარგავების გაშენებისა და მოსავლის აღების პერიოდში, რომელთა რაოდენობა დღიურად შეასძლებელია იყოს 25 ადამიანი.

მოსავლის აღების პერიოდი იწყება მაისიდან და გრძელდება სექტემბრამდე.

როგორც მუდმივი, ისე დროებითი თანამშრომლები იმუშავენ ერთცვლიანი რეჟიმით, 8 საათიანი სამუშაო დღით.

4. საქმიანობის აღწერა

4.1. ლურჯი მოცვის დარგვისა და მოვლის წესები

ლურჯი მოცვი ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა საქართველოსთვის, რომლის დანერგვა თავის პოზიტიურ როლს ასრულებს ადგილობრივი ფერმერების წარმოების და შემოსავლების ზრდის კუთხით.

ლურჯი მოცვი ყინვაგამძლე, ბუჩქოვანი, კენკროვანი კულტურაა, რომელიც იძლევა ლურჯი ფერის მრგვალ ნაყოფს. ვერ იტანს გვალვას. ხასიათდება მაღალი მდგრადობით დაავადებების მიმართ. მაღალი კვებითი და დიეტური თვისებების გამო, იგი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში და მომხმარებელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ლურჯი მოცვის დარგვა შეიძლება, როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზეც. ყვავის მაის-ივნისის თვეში, ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში. შეიცავს C ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, გამოიყენება კულინარიაში, ხალხურ მედიცინაში, აქვს ანტიოქსიდური თვისებები. მოცვი სიმაღლეში 2 მეტრამდე იზრდება.

ლურჯი მოცვი გაშენებისათვის მოითხოვს ტენიან, მსუბუქ და კარგი დრენაჟის მქონე სპეციფიკურ ნიადაგს. იგი კარგად ხარობს მხოლოდ მჟავა ნიადაგებზე, ანუ იმ ნიადაგებზე, რომელიც რეკომენდებულია ჩაის გასაშენებლად.

ნიადაგის ოპტიმალური pH მაჩვენებელი უნდა იყოს 4.0-დან 5.0-მდე, დარგვის წინ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება ხდება ნიადაგის ზედაფენაში ნახერხის, კომპოსტის ან ტორფის შერევით.

გაშენებამდე 1 წლით ადრე ნიადაგი უნდა მოიხვნას 40-50 სმ-ის სიღრმეზე. შემდეგ ჯვარედინად გადაიხვნას 30-35 სმ-ის სიღრმეზე, დაიფარცხოს და დაიგეგმოს. ლურჯი მოცვის გაშენება, როგორც წესი ხდება ბაზო-კვლების (სფერული) სისტემით.

ნერგების დარგვისას მცენარის ფესვთა სისტემა მთლიანად უნდა მოთავსდეს ნიადაგში, მოიტკეპნოს და მოირწყას.

ნერგის დასარგავად, საჭიროა მომზადდეს ორმოები, რომელთაც ექნებათ არანაკლებ 30 სმ. დიამეტრი და 40 სმ სიღრმე.

რიგთაშორისებში დაშორების მანძილი უნდა იყოს 3-3,2 მ. ხოლო რიგებში მცენარეთა შორის დაშორება 0,9-1,2 მ.

ასეთნაირად გაშენებულ მოცვის პლანტაციებში პირველ სამ წელიწადს მცენარის გამოკვება ხდება წინასწარ მომზადებული მინერალური სასუქების ნაზავით. ნაზავის თანაფარდობა შემდეგნაირია: ამონიუმის სულფატი 90 გრ, სუპერფოსფატი 110 გრ, და კალიუმის სულფატი 40 გრ.

ასეთნაირად მომზადებული ნაზავი შეაქვთ ნერგის ირგვლივ შემდეგი ოდენობით: ერთ წლიან ბუჩქზე ერთი სუფრის კოვზი, ორ წლიანზე ორი სუფრის კოვზი, სამ წლიანზე სამი სუფრის კოვზი, ოთხ წლიანზე ოთხი სუფრის კოვზი, ხუთ წლიანზე რვა სუფრის კოვზი, ექვსწლიანზე და მეტი ასაკის ბუჩქზე კი თექვსმეტი სუფრის კოვზი. ერთი სუფრის კოვზის ასეთი ნაზავის წონა შეადგენს 10 გრ-ს.

ვეგეტაციის პერიოდში გამოკვება ასეთი ნაზავით ხდება ორჯერადად, ადრე გაზაფხულზე მცენარის მასიური ყვავილობისას და ნაყოფის გამონასკვის შემდეგ. სასუქის მიღების შემდეგ სასურველია მცენარე მოირწყას. თუ პლანტაციაში წვეთობრივი მორწყვის სისტემა მოქმედებს, ამ ნაზავის მცენარესათვის მიწოდება შეიძლება მორწყვასთან ერთად.

მორწყვა უნდა მოხდეს კლიმატის მიხედვით დაახლოებით კვირაში ერთხელ, ერთ ძირ ნერგზე ყვავილობამდე 2.5-2.7 ლიტრი, ყვავილობისას 3.5, შემდეგ 3.0-3.5 ლიტრი კვირაში ერთხელ.

სრულ მსხმოიარობაში შესულ ბუჩქებს სხლავენ ისეთნაირად, რომ ბუჩქზე მივიღოთ თანაბრად განაწილებული საყვავილე ყლორტები. ამისათვის ბუჩქს აცლიან დაბალ და სუსტ ნაზარდებს, ასევე დაავადებულ და ფიზიკურად დაზიანებულ ტოტებს.

მოცვი სრულ მსხმოიარობას აღწევს 6-10 წლის ასაკში.

4.2. კომპანიის მიმდინარე საქმიანობის აღწერა

შპს „ზუმარი.კომ“-ის მოცვის პლანტაციის დაკავებული ფართობი 30000 მ²-ია. მასზე გათვალისწინებულია 9 000-მდე ძირი მოცვის ნერგის დარგვა. პლანტაციის გაშენება დაიწყო გასულ წელს, რომელიც გრძელდება მიმდინარე წელსაც.

ნაკვეთის უმეტეს ნაწილზე უკვე დარგულია ნარგავები, მოწყობილია საბაზისო კვლები და აგროტექსტილში, 1 მეტრიანი დისტანციით დარგულია ნერგები. ნაწილზე მოწყობილია საბაზისო კვლები, სადაც დაფენილია აგროტექსტილი, რომელიც შევსებულია ნარგავებისათვის საჭირო ნიადაგით. აგროტექსტილის ქვეშ მოთავსებულია წვეთოვანი სისტემის მილები. ნაწილზე მიმდინარეობს მიწის მომზადების სამუშაოები (სურათები 4.1. 4.2. და 4.3.).



სურათი 4.1.



სურათი 4.2.



სურათი 4.3.

პლანტაციის გაშენება ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, „დანერგე მომავალი“-ს პროგრამის ფარგლებში. მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის რაციონალური ათვისება, ტერიტორიაზე შემოტანილია საჭირო რაოდენობის ნერგები და სარწყავი სისტემის მილები (სურათი 4.4. და 4.5.). მიმდინარეობს ნერგების დარგვა.



სურათი 4.4. მოცვის ნერგები



სურათი 4.5. წვეთოვანის მილები

საბაზისო კვლები მოწყობილია ტერიტორიის რელიეფის შესამაბისად. ტერიტორიის დრენაჟის ფუნქციას ასრულებს ნაკვეთის საზღვრებში რელიეფურად შემოჭრილი ხევები, რომლებითაც ხდება ტერიტორიიდან ჭარბი წყლების დრენირება. ტერიტორიის რელიეფი დახრილია ხევების მიმართულებით (სურათი 4.6.).



სურათი 4.6.

პლანტაციის მოვლისა და თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვართან მოწყობილია კაპიტალური შენობა (სურათი 4.7.), რომლის ერთ მხარეს გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის. მეორე მხარეს მოწყობილია პლანტაციის სარწყავი სისტემის სატუმბი სისტემა.



სურათი 4.7.

მოცვის პლანტაციის მოვლის წესების შესაბამისად ნერგების დარგვისა და სხვა აგროსამუშაოების პარალელურად, საჭიროა პლანტაციის პერიოდული მორწყვა, რისთვისაც შენობის გვერდით მოწყობილია წყლის სამარაგო ავზი, რომლის მოცულობა 250 მ³-ია. ავზი წარმოადგენს მიწაში ამოღებულ ორმოს, რომლის კიდეები მიწაყრილისაა. ორმოში ამოგებულია წყალგაუმტარი მასალის ფენა. ავზის შევსება დაგეგმილია შენობის სახურავიდან შეკრებილი წვიმის წყლით (სურათი 4.8.).



სურათი 4.8.

ზაფხულის გვალვიან სეზონზე, წყალაღება დაგეგმილია მდინარე ლელაიდან ტუმბოს საშუალებით. წყალაღების მიზნით მდინარის კალაპოტში შერჩეულ ადგილზე მოწყობილია წყალმიმღები კოლექტორი, რომელშიც ჩადებულია ჩასადირი ტუმბო (სურათი 4.9.).



სურათი 4.9.

მიწის ნაკვეთზე მიყვანილია ელექტროენერგია.

4.3. წყალაღება და სარწყავი სისტემა

მოცვის პლანტაციის მორწყვის მიზნით ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სამარაგო ავზი, რომელში შესაძლებელია 250 მ³ წყლის მომარაგება, რაც საკმარისია პლანტაციის 8-ჯერ მოსარწყავად.

ავზის წყლით შესასვებად დაგეგმილია შენობის სახურავიდან ჩამონადენი წყლების შეკრება და ავზში ჩაშვება.

გვალვიან სეზონზე წყალაღება დაგეგმილია მდ. ლელადან, შემდეგ GPS კოორდინატზე x-244419, y- 4643883 მოწყობილი წყალმიმღებით. მდინარეში ჩადგმულია პოლიეთილენის 2 კოლექტორი (თითოეული 800 მმ-იანი), რომელშიც ჩადგმულია ჩასაძირი ტუმბო LDm-4. ტუმბოს მუშა წარმადობა, გათვალისწინებულ სიმაღლეზე (18 მ) აწევით შეადგენს 175 ლ/წთ.



სურათი 4.10.

წყლის შეწოვა გათვალისწინებულია 63 მმ-იანი მილის საშუალებით, საათში 10 მ³ მაქსიმალური წარმადობით. მილი განთავსებულია მიწის ქვეშ, 20 სმ-მდე სიღრმით, ტერიტორიის რელიეფის შესაბამისად. მისი მთლიანი სიგრძე 131 მ-ია. ტერიტორიაზე წყალი ისხმება სამარაგო ავზში, დანაკლისის შესავსებად (ფოტოზე მოცემულ ავზში არსებული წყალი შეგროვებულია ატმოსფერული ნალექების შედეგად).



სურათი 4.11.

სამარაგო ავზიდან სარწყავი წყლის მიწოდება პლანტაციაზე ხდება კაპიტალურ შენობაში დამონტაჟებული ტუმბოს საშუალებით (სურათი 4.12). დამონტაჟებულია იტალიური წარმოების “SPERONI”-ის ფირმის, 15 მ³/სთ მუშა წარმადობის ტუმბო.



სურათი 4.12.

ტუმბოდან წყალი მიეწოდება ფილტრებს (სურათი 4.13.), რომლიდანაც გადადის მაგისტრალურ 63 მმ-იან მილბუში, რომლებიც გაყვანილია კვლების თავში (საერთო სიგრძით 460 მ.). მაგისტრალური მილგაყვანილობა უერთდება ქვემაგისტრალურ 50 მმ-იან მილბუსს (საერთო სიგრძით 440 მ). მილგაყვანილობა განთავსებულია მიწაში, მასზე მიერთებულია 16 მმ-იანი საწვეთურიანი მილბუები (საერთო სიგრძით 6300 მ).



სურათი 4.13.

საწვეთურიანი მილები განთავსებულია აგროტექსტილის ქვეშ (სურათი 4.14.).



სურათი 4.14.

მაგისტრალური და საწვეთურიანი მილგაყვანილობის მოწყობა მოხდა და მიმდინარეობს საბაზისო კვლების მოწყობის პარალელურად (სურათი 4.15).



სურათი 4.15.

მთლიანი პლანტაციის მოსარწყავად საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 30 მ³-ს. მორწყვის დრო შეადგენს 2-3 საათს.

მდინარიდან წყალაღება მოხდება ავზში წყლის დანაკლისის შესავსებად. რადგან წყალაღების წერტილი ჰიპსომეტრულად დაბალ ნიშნულზეა, ტუმბოს საათური წარმადობა შეადგენს 8-10 მ³/სთ. ერთი მორწყვის დანაკლისის შესავსებად საჭირო წყლის აღებას სჭირდება 3-4 საათი. მდინარიდან წყლის ამოღება საჭიროა ზაფხულის გვალვიან სეზონზე.

რადგან ნარგავების მორწყვა რეკომენდირებულია ყოველ მე-3 დღეს, თვის განმავლობაში მორწყვის ჯერადობა შეიძლება იყოს 10. თვის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს $10 \times 30 = 300$ მ³-ს.

იმის გათვალისწინებით, რომ მორწყვა იწყება და მთავრდება აგროსამუშაოების პარალელურად, გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში ნალექების რაოდენობა ინტენსიურია, მდინარიდან

წყალაღება საჭიროა მხოლოდ ზაფხულის სეზონისათვის. თუმცა, შესაძლებელია წყალაღება განხორციელდეს მთელი წლის განმავლობაში და სექტემბერშიც.

თვეების განმავლობაში აღებული წყლის რაოდენობები ათას მ³-ში მოცემულია ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1

წყლის ხარჯი, ათასი კუბ.მ					
მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	სულ
0,06	0,15	0,15	0,3	0,12	0,78

რწყვის პროცესი არ ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. რადგან მოცვის ნარგავებისათვის არ არის სასარგებლო ჭარბი წყალი, მორწყვა უნდა მოხდეს ისე, რომ აგროტექსტილის შიგნით ნიადაგი დატენიანდეს ზომიერად.

ამდენად, პლანტაციის სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის შედეგად ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია არ ითვალისწინებს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროების მოწყობას, ხმაურის წარმოქმნა-გავრცელებას, ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას. ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ წყალაღებით. მიუხედავად ამისა მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია ყველა შესაძლო მიმართულებით.

5.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი არ არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების არსებობა, შესაბამისად მისი მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერზე რაიმე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.2. ხმაურის ზემოქმედება

წვეთოვანი სისტემის მილგაყვანილობი უკვე მოწყობილია. სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული ისეთი ტექნიკის გამოყენებასთან, რომელიც გამოიწვევს ხმაურს.

ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის ამოღება ზედაპირული წყლის ობიექტიდან ხდება დაბალი წარმადობის დასადირი ტუმბოს საშუალებით, რომელიც განთავსებულია მდინარის კალაპოტში. ტუმბოს მაქსიმალური ხმაურის დონე 50 დბ-ია. უახლოესი მოსახლე ტუმბოს განთავსების

ადგილიდან დაშორებულია 280 მ-ით. ტუმბოს განთავსების ადგილი მდინარის ჩაღრმავებულ კალაპოტშია. დასახლებული პუნქტის მხარეს ხე მცენარეებით დაფარული ფერდობია (სურათი 5.1.).



სურათი 5.1.

იმის გათვალისწინებით, რომ ტუმბოს ხმაურის დონე დაბალია, ვერ მოახდენს რაიმე გავლენას 280 მ-ით დაშორებულ დასახლებულ პუნქტზე.

რაც შეეხება სარწყავი სისტემის ტუმბოს, რომლის საწყისი ხმაური 60-65 დბ-ია, იგი განთავსებულია კაპიტალური შენობის შიგნით, შესაბამისად 440 მეტრით დაშორებულ დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს.

ამდენად, პლანტაციის მორწყვის პროცესში ხმაურის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია ლანდშაფტზე ზემოქმედებას ვერ იქონიებს, რადგან ვიზუალურ ცვლილებებს არ გამოიწვევს. ტერიტორიაზე განთავსებული შენობა უკვე მოწყობილია. იგი მცირე ზომისაა და მგრძობიარე რეცეპტორებიდან შეუმჩნეველია, ტერიტორიის ირგვლივ არსებული მცენარეების ზოლის გამო. სარწყავი სისტემის მილგაყვანილობა განთავსებულია მიწაში.

რაც შეეხება მოცვის ნარგავებს, მისი გაშენებით ლანდშაფტზე ზემოქმედება შეიძლება ჩაითვალოს დადებითად.

ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია, რადგან პლანტაციის გაშენებით და მოვლა-პატრონობით ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალური გამოყენება, დანიშნულების შესაბამისად.

მოცვი მსხმოიარობის პერიოდში წარმოადგენს ფრინველების საკვებს, შესაბამისად ხელს შეუწყობს ორნითოფაუნის გამრავლებას.

შესაბამისად ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

სარწყავი სისტემის მოწყობით ზედაპირული წყლის ობიექტზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია წყალაღებით, რადგან ნარგავების მორწყვა არ ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. წყალი ისე უნდა მიეწოდოს აგროტრექსტილის ქვეშ, რომ არ წარმოიქმნას გამონაჟონი.

კომპანიას დაგეგმილი აქვს წვიმიან ამინდებში ატმოსფერული ნალექების წყლის შეგროვება და მომარაგება სამარაგო ორმოში. შესაბამისად მდინარიდან წყალაღება საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ ნალექიანი დღეების რაოდენობა მცირეა.

წყლის ამოღება ხდება მდ. ლელადან 10 მ³/სთ ოდენობით, დღეში 30 მ³-ის ოდენობით.

მდ. ლელას საშუალო ხარჯი წყალაღების წერტილში 1,5 მ³/წმ-ს შეადგენს. საჭირო წყლის რაოდენობა 0,0028 მ³/წმ, რაც საშუალო ხარჯის 0.18 %-ს შეადგენს.

ამდენად წყალაღება მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს ზედაპირული წყლის ობიექტის ხარჯზე.

რაც შეეხება თანამშრომლებისა და დაქირავებული პერსონალის სასმელ-სამეურნეო წყლის მოხმარებას, სასმელი წყალი ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება სოფლის ტერიტორიაზე არსებული მარკეტებიდან. თანამშრომლები და პერსონალი არიან ადგილობრივი მცოვრებლები და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის იყენებენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტის წყალაღებით, ზედაპირულ წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალან დაბალი.

5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

ნარჩენები შესაძლებელია წარმოიქმნას პლანტაციის აგროსამუშაოების შედეგად. ნარჩენი შესაძლებელია იყოს შეძენილი სასუქებისა და ქიმიკატების შესაფუთი მასალები, რომელიც შეგროვდება დახურულ შენობაში და ყოველწლიურად, აგროსამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს.

შესაფუთი მასალები შესაძლებელია დაბინძურებული იყოს სახიფათო ნივთიერებებით, ამიტომ მისი კოდი სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესაბამისად იქნება 15 01 10*. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ასეთი ნარჩენის რაოდენობა შეიძლება იყოს 10 კგ-მდე. მისი გადაცემა შემდგომი განთავსების (ინსინერაცია) მიზნით მოხდება შპს „სანიტარი“-ზე ან/და შპს „ეკომედი“-ზე.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, პლანტაციის ტერიტორიაზე დასაქმებულები ადგილობრივი მცხოვრებლები არიან და საყოფაცხოვრებო მიზნით იყენებენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებს.

5.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია სატრანსპორტო ნაკადებზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის სატრანსპორტო გადაზიდვებთან.

მოცვის მოსავლის აღების პერიოდში, ნაყოფის დაკრეფა ხდება სამ დღეში ერთჯერ. მოსავალი გაიტანება დილერების მიერ, დღის ბოლოს. შესაბამისად პლანტაციის ექსპლუატაციის შედეგად შესაძლებელია სატრანსპორტო გადაზიდვების მობილიზება დღეში სამ დღეში ერთი გადაზიდვა. აღნიშნული გადაზიდვა რაიმე გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადებზე.

5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

მოცვის პლანტაციის განთავსების ადგილის ერთ კილომეტრიან რადიუსში დაცული ტერიტორია არ არის განთავსებული. შესაბამისად სარწყავი სისტემის მოწყობა მასზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

პლანტაციის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციით სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მის ექსპლუატაციას არ სჭირდება დამატებითი მუშახელი, შესაბამისად გავლენას ვერ იქონიებს დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე.

რაც შეეხება მოცვის პლანტაციის ექსპლუატაციას, დადებითად აისახება ადგილობრივ სოციალურ გარემოზე. მოსავლის აღების პერიოდში დღეში დასაქმებულთა რაოდენობა 20-25 ადამიანს შეადგენს. არსებული პრაქტიკით, სოფლის მცხოვრებლები მოცვის ნაყოფის კრეფას წარმატებით ათავსებენ საკუთარ საოჯახო მეურნეობას, რაც დადებითად აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე.

პლანტაციის ექსპლუატაციისას მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

მოცვის კულტურის გაშენება დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ლურჯი მოცვი ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა საქართველოსთვის, რომლის დანერგვა დადებით როლს ასრულებს ადგილობრივი ფერმერების წარმოების და შემოსავლების

ზრდის კუთხით. საქართველოში არსებული მეურნეობებიდან მიღებული მოსავლის უმეტესი ნაწილი განკუთვნილია საექსპორტოდ, შესაბამისად დადებითად აისახება ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე.

5.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ სამუშაოებთან. მისი ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი არ არის ავარიული სიტუაციები, რასაც შესაძლებელია თან მოყვეს ადამიანების დაშავება.

მოცვის პლანტაციის აგრო სამუშაოების დროს დაბალია ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი. სასუქებისა და ქიმიკატების გამოყენების დროს თუ დაცული იქნება ინსტრუქციებით გათვალისწინებული წესები, მომსახურე პერსონალზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია. მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება იმდენად დაბალია, შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

5.10. ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია ნიადაგის ნაყოფიერებას აამაღლებს ლოკალურად, პლანტაციის ტერიტორიაზე. ირგვლივ არსებულ ნაკვეთებზე გავლენას ვერ იქონიებს.

რაც შეეხება მოცვის პლანტაციის ფუნქციონირების შედეგად ნიადაგის ხარისხზე ზემოქმედებას, იქნება დადებითი, თუმცა არ გაცდება კუთვნილი მიწის ნაკვეთის საზღვრებს. კომპანია აგროსამუშაოების ჩატარების დროს სასუქის დამატებას ახდენს მხოლოდ აგროტექსტილის შიგნით და მაქსიმალურად ცდილობს მისი მოქმედება არ გაცდეს ნარგავის კვებისათვის განკუთვნილ არეალს.

პლანტაციის ექსპლუატაცია გრუნტის დაბინძურებას არ გამოიწვევს, რადგან ნარგავების მოვლა-პატრონობით ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება არ ხდება.

ექსპლუატაციის ეტაპზე სარწყავი სისტემით ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.11. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ

პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციით პირდაპირი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელია მხოლოდ ზედაპირულ წყლებზე, წყალაღებით. განსახილველი პლანტაციის ირგვლივ განთავსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაწილზე გაშენებულია ან/და მიმდინარეობს მოცვის პლანტაციების გაშენება.

კომპანიის წყალაღების წერილის 500 მ-ით ზემოთ და ქვემოთ ამ ეტაპზე მდ. ლელაღან წყალაღება არ ხდება. არსებული პლანტაციები წყალს იღებს მდ. ჩოლოქიდან. შესაბამისად წყალაღებაზე კუმულაციური ზემოქმედება ამ ეტაპზე არ არის.

რაც შეეხება დადებით კუმულაციურ ზემოქმედებას, აღნიშნული მოსალოდნელია ონრნითოფაუნაზე საკვებზე ხელმისაწვდომობის დასაქმების კუთხით, ექსპორტის პოტენციალის გაზრდის კუთხით. ასევე, რეგიონში ამ მიმართულების ფერმერული მეურნეობების განვითარების კუთხით.

ამჟამად დაბა ლაითურის ტერიტორიაზე სხვა კომპანიების მიერაც მიმდინარეობს ან/და იგეგმება მოცვის პლანტაციების გაშენება. ისეთ შემთხვევაში, თუ რომელიმე წყალაღებას დაგეგმავს მდ. ლელაღან, შპს „ზუმარი.კომ“-ს შეუძლია წყალაღება განხორციელოს სხვა წყალმოსარგებლებთან შეთანხმებით, რადგან წყალაღება ხდება ავზში დანაკლისის შესავსებად და აუცილებელი არ არის წყალაღების დრო დაემთხვეს რწყვის დროს. ასეთ შემთხვევაში ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

სხვა მიმართულებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციით, მისი განთავსების ტერიტორიის მდებარეობისა და დაგეგმილი მასშტაბის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6. საქმიანობის ადგილის თავსებადობა

განსახილველი ტერიტორიის 500 მ-იან რადიუსში არ არის განთავსებული ჭარბტენიანი ტერიტორია, ტყით დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი წიგნის“ სახეობები, დაცული ტერიტორია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ლანდშაფტური და სარეკრეაციო ტერიტორია.


შავი ზღვის სანაპრო ზოლიდან ტერიტორია დაცილებულია 12 კმ-ზე მეტი მანძილით, უახლოესი ურეკის სარეკრეაციო ტერიტორია დამორებულია 10 კმ-ზე მეტი მანძილით.

უახლოესი დაცული და ჭარბტენიანი ტერიტორია ქობულეთის დაცული ტერიტორია/ისპანის ჭაობი დაშორებულია 9 კმ-ზე მეტი მანძილით.

უახლოესი სატყეო ფონდის ტერიტორია ობიექტიდან დაშორებულია 1,5 კმ-ზე მეტი მანძილით. ობიექტის მდებარეობა ზემოჩამოთვლილი ტერიტორიებიდან მოცემულია ნახაზზე 6.1.

განსახილველი საქმიანობა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების (მოცვის) გაშენებისა და მოვლა-პატრონობის ობიექტს, რომლის ფუნქციონირება გარემოზე უარყოფით გავლენას არ ახდენს, შესაბამისად სიახლოვის შემთხვევაშიც ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას დაცულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე და ჭარბტენიან ტერიტორიებზე.

ნახაზი 6.1.



დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი 1. საჯარო რეესტრის ამონაწერები



მ/წის (უზრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 26.25.13.105**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892023484484 - 27/12/2023 13:59:24

მომზადების თარიღი
04/01/2024 10:25:52

საკუთრების განყოფილება

ზონა ოზურგეთი	სექტორი ლაბთურსი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სახნავე) დამუსკებული ფართობი: 30000.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
26	25	13	105	

მისამართი: მუნიციპალიტეტი ოზურგეთი , დაბა ლაბთურსი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892023366931 , თარიღი 08/12/2023 09:23:54
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/12/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება , დამოწმების თარიღი:08/12/2023 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "ზუმარი,კომ " , ID ნომერი:406450479

მესაკუთრე:

შპს "ზუმარი,კომ "

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892023484484 თარიღი 27/12/2023 13:59:24	იპოთეკარი საბჭეო საზოგადოება "ბაზისბანკი"203841833; საგანი:დამუსკებული ფართობი: 30000.00 კვ.მ. ; იპოთეკის ხელშეკრულება N27.12/002-23, დამოწმების თარიღი27/12/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
---	---

უფლების რეგისტრაცია: თარიღი
04/01/2024

საგადასახადო გირაფენობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestr.gov.ge>

გვერდი: 1(2)

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

-
- ფიზიკური პირის მიერ არსაიპოქარმო საქონლის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქციის მიწოდებით ნამეტო შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაგვეიანეს საინგარიშო თვის მომღვენო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია სამემოსიელო გადასახადის შესახებ და ამიეე ვადაში გადასახდის კუთხილი სამემოსიელო გადასახდი.
 - საგადასახადო წლის განმავლობაში გადასხდის წყაროხიანი დეკლარებულ 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საშუქრულ მიღებისას სამემოსიელო გადასახდი გადასხდის ექვემდებარება საინგარიშო წლის მომღვენო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმაიეე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
 - აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალღარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XI თავის მხედეით.
 - დოკუმენტის ნამღვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამინაწერის მიღება შესაძლებელია ეებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერაგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აეგორიშებულ პირებთან
 - ამინაწერში გექნიკური სარეგისტრაციის აღმორჩნის შემთხვევაში დეგვიკემორდიო: 2 405405 ან პირადად შეავსეო განაცხადი ეებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელია მხრიდან უკანისო ქმედების შემთხვევაში დეგვიკემორდიო ცხელ ხაზზე: 2 405405
 - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკემორებით მოგეწერული ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წერილი